ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 8 ივლისი № 1517

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.

მღვდელი ლუკა მათეს ძე, ქრისტინა დავითის ასული, ნატალია, ელენე, სერგეი, არკადი და ლუკა ბახტაძეები სთხოვენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთა განსვენებულის

ილია ლუკას ძის ბახტაძისას (ილ. ხონელი)

დაესწრან შაბათს, 14 ივლისს, 10 საათზე, ხონის წმ. გიორგის ტაძარში, წლის წირვასა და პანაშვიდს განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (3—რ—2)

«ქართული დრამატიული საზოგადოების» გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

ორს პრემიას

200 მან. და 100 მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოებლად. პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამ მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის წედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება 1 ოქტომბერს 1902 წლისას.

5) «დრამატიულ საზოგად.» გამგეობას ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულის პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულის პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი კონკურსისა გაზეთებში იქმნება გამოცხადებული. (ნ. 3—1)

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

6 ივლისი.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში" გამოცხადებულია: უმაღლესად დამტკიცებული სამხედრო ბეგრის ახალი წესდება ფინლიანდიის დიდის სამთავროსათვის და უმაღლესი მანიფესტი: „ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოოზ II, იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა და სხვ. ვუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომებს: რადგანაც ფინლიანდიის დიდი სამთავრო რუსეთის იმპერიის ნაწილს შეადგენს, ამიტომ მისი მოსახლეობა მოვალეა ტახტისა და სამშობლოს დაცვაშიაც მონაწილეობა მიიღოს. ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომებთან ერთად, ემორჩილებოდა რა იმ კანონებს, რომლებიც რუსეთის ჯარის ერთობას უზრუნველ ჰყოფენ, ნეტარ-ხსენებულმა პაპა ჩვენმა, იმპერატორმა ალექსანდრე II მ, 1878 წლის 6/12 დეკემბერს გამოცემული კანონით, მსგავსად სახელმწიფოს სხვა ნაწილებისა, ფინლანდიისათვისაც საყოველთაო პირადი სამხედრო ბეგარა დააწესა. ამ კანონის შემოღების დღიდან 10 წლის შემდეგ, გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამ კანონს ბევრი ნაკლი ჰქონდა. ამის გამო და ღვთივ განსვენებულის ჩვენის მშობელისა და ჩვენ მიერ ნაბრძანებ აზრთა თანახმად, ფინლიანდიაში შემოღებული სამხედრო ბეგრის წესები გადასინჯულ იქმნა, რათა მთელი იმპერიის წესებთან შეთანხმებულ ყოფილიყო. ამ შრომის დამთავრების შემდეგ, დავამტკიცეთ რა ფინლიანდიის დიდი სამთავროსათვის სამხედრო ბეგრის ახალი წესდება, ჩვენ კეთილად ვსცანით ფინლიანდიის ერს სამხედრო სამსახურის ახალი წესების აღსრულება შევუმსუბუქოთ. ამის გამო, ჩვენ დავადგინეთ, ვიდრე ახალ განსაკუთრებით ბრძანებას გამოვცემდეთ, ფინლიანდიელი ჯარის კაცები მხოლოდ ჯარის იმ ნაწილში ინიშნებოდნენ, რომლებიც უმთავრესად ფინლიანდიელებისაგან შესდგებიან; ამასთანავე კეთილად ვსცანით, რომ ყოველ წელს სამხედრო სამსახურში მოწვეულ ფინლანდიელ ჯარის კაცთა რიცხვი შემცირებულ იქმნეს. ეს უკანასკნელი ღონისძიება, რომლის გამო ფინნების ჯარის ზოგიერთი ნაწილი გაუქმებულ იქმნება, მტკიცედ ჰმოწმობს, რომ ჩვენ განზრახვა გვაქვს ფინლიანდიას სამხედრო ბეგრის ტვირთი ჯერ-ჯერობით არ დავუმძიმოთ. ვართ რა დარწმუნებულნი, რომ ახალი წესები უზრუნველჰყოფენ ფინლიანდიის მოსახლეობის მიერ სახელმწიფო მოვალეობის აღსრულებას, როგორც ეს თანამედროვე გარემოებათ შეეფერება, ჩვენ ვბძანებთ: 1) ჩვენ მიერ დღეს დამტკიცებული სამხედრო ბეგრის წესდება ფინლანდიის დიდის სამთავროსათვის შემოღებულ იქმნას იმ სამხედრო ბეგრის წესდების ნაცვლად, რომელიც 1876 წლის 6/18 დეკემბერს გამოიცა, და აგრეთვე იმ მანიფესტის ნაცვლად, რომელიც იმავე დღეს გამოიცა. 2) ახალი წესდების თანახმად, ჯარის კაცები პირველად 1903 წელს უნდა შეიკრიბნენ. 3) ვიდრე ჩვენ განსაკუთრებულ ბრძანებას გამოვსცემდეთ: ა) ახალი ჯარის კაცები, რომლებიც ახალი კანონის თანახმად იქმნებიან სამსახურში განწესებულნი, გაიგზავნებიან ფინნების გვარდიის მსროლელ ბატალიონში და დრაგუნთა პოლკში და ბ) ამ წლიდან დაწყებული ყოველ წელიწადს იმდენი ჯარის კაცი უნდა იქმნეს გაყვანილი, რამდენიც საჭირო იქნება ხსენებული ბატალიონისა და პოლკის შესავსებად. 4) ჩვენ მიერ ნაჩვენებ ვადაზე ფინლიანდიის დიდ სამთავროში შემდეგი წესები უნდა იქმნას შემოღებული: 1) იმ ჯარების უმაღლესი ზედამხედველობა, რომლებიც უმთავრესად ფინლიანდიელებისაგან შესდგებიან, სამხედრო მინისტრის ხელში იქნება; 2) 1-ლ მუხლში მოხსენებული ჯარის ნაწილების უფროსად, როცა ეს ჯარების ფინლიანდიის სამხედრო ოლქში იდგებიან, ამ ოლქის ჯარის უფროსი იქნება; ეს უფროსი ჯარებს თავის ხელქვეით სამხედრო-საოლქო მმართველობათა საშუალებით უნდა განაგებდეს; 3) განწესება, შეიარაღება და შენახვა იმ ჯარებისა, რომლებიც უმთავრესად ფინლიანდიელებისაგან შესდგებიან, ჩვენს ხელში იქმნება; ამ ჯარებისათვის საჭირო ხარჯი ფინლიანდიის ხაზინამ უნდა გაიღოს. 4) ის ჯარები, რომლებიც უმთავრესად ფინლიანდიელებისაგან შესდგებიან, როგორც მშვიდობიანობის დროს, ისე ომის დროს, ჩვენი ნებით თუნდ რუსეთის იმპერიაში, თუნდ საზღვარ-გარეთ გაიგზავნებიან. 5) ოფიცრადა და უნტერ-ოფიცრებად მხოლოდ იმ ფინლიანდიელების განწესება შეიძლება, რომლებსაც წმინდად ეცოდინებათ რუსული

ფელეტონი

ისტორიულ მატერიალიზმის გამო

II

წინა წერილში*) ჩვენ ვამბობდით: როდესაც ადამიანი ხელს უწყობს ცხოვრების პროცესსის მსვლელობას, ორში ერთია, ან ეს ცვლილება, მის თვალში, საჭიროა იმის (ადამიანის) რაიმე მიზნის განხორციელებისათვის, ან მას (ცვლილებას) თავის თავად აქვს რაიმე აზრი და მიზანი. ორსავე შემთხვევაში ირღვევა ობიექტიური და უაზრო ხასიათი ცხოვრების მსვლელობისა.

მხოლოდ ამ წერილში ჩვენ გვსურს ამავე კითხვას სხვა მხრივადაც შევეხოთ. გვინდა მკითხველს დავანახვოთ, რომ ეგრედ წოდებული „ობიექტიური ცხოვრების პროცესსი" მეცნიერული ცნება არ არის, არამედ წმინდა მეტაფიზიკური. გვინდა აგრეთვე დავანახვოთ მას, რომ ისტორიული მატერიალიზმი ლოღიკურად არ არის დაკავშირებული მარქსის ეკონომიურ მოძღვრებასთან, ე. ი. სოციოლოგიაში შეიძლება კაცი მატერიალისტი იყოს, ეკონომიურ კითხვებში კი „მარქსიზმის" წინააღმდეგი.

როდესაც ისტორიულ მატერიალიზმზე ჩამოვარდება ხოლმე სჯა-ბაასი, საჭიროა მივიღოთ მხედველობაში ის, თუ როგორ გადაწყდა მეცნიერებაში ფილოსოფიურ მატერიალიზმის სვე-ბედი, რადგან ისტორიული მატერიალიზმი ლოღიკური დასკვნაა და პრაქტიკული განხორციელება ფილოსოფიური მატერიალიზმისა.

რა არის ფილოსოფიური მატერიალიზმი? ერთად-ერთი საგანი, რომელიც თავის-თავად, ადამიანის დამოუკიდებლად არსებობს, არის მატერია (ნივთი). მატერია უტყუარი სინამდვილეა, უკანასკნელი ძირითადი ცხოვრების საფუძველია. მატერია სიცოცხლის დასაწყისია, გრძნობიერების და აზროვნების მიზეზია. მატერია უპირობო (безусловн.) სუბსტანციააო, ამბობენ მატერიალისტები.

მეცნიერულია თუ არა ამგვარი მატერიალიზმის განმარტება? მეცნიერულ ცოდნას მხოლოდ ის ცოდნა შეადგენს, რომელიც ექვემდებარება განსაზღვრულ პირობებს. ყველა იმას, რაც ადამიანს თავში მოუვა, მეცნიერულ ცოდნას ვერ ვუწოდებთ. ყოველ მეცნიერებას თავისი საგანი უნდა ჰქონდეს. ეს საგანი პირობითი საგანია და არა აბსოლიუტური. ამისათვის, სუბსტანცია (საგნის არსებითი ხასიათი) მეცნიერებიდან განდევნილია. განდევნილია აგრეთვე მეცნიერებიდან პირველ-მყოფელ მიზეზის ცნება. საგანი მეცნიერულ გამოკვლევისა ცხოვრების მოვლენაა და არა სუბსტანცია. ერთი მოვლენა დაკავშირებულია მეორე მოვლენასთან; ერთი მოვლენა შეიძლება მიზეზად ჩაითვალოს მეორე მოვლენისა. მხოლოდ მეცნიერება არ გვაძლევს უფლებას ვსთქვათ, რომ ამ მოვლენათა ძირითადი, პირველი საფუძველი ეს არის, თუ ის.

მაშასადამე, ფილოსოფიური მატერიალიზმის დებულება მეცნიერული დებულება არ არის, რადგან იგი მატერიას ხდის ცხოვრების დასაბამ მიზეზად, რადგან მატერია, მისს განმარტებით, უბრალო მოვლენა—ანუ ადამიანის წარმოდგენა (представленіе) კი არ არის, არამედ უტყუარი სინამდვილეა, უკანასკნელი, ძირითადი ცხოვრების საფუძველია (სუბსტანცია). ფილოსოფიურ მატერიალიზმს შემოაქვს მეცნიერებაში ორი ცნება—პირველ-მყოფელი მიზეზი და სუბსტანცია. ორივე ცნება გამოცდილებაზე დამყარებულ ცოდნად (опытное познаніе) არ ჩაითვლება და იმგვარი ცნება კი, რომელიც ადამიანის გამოცდილების გარეშე არის, ეკუთვნის მეტაფიზიკას, ხოლო ამ მეტაფიზიკის დამამტკიცებელ საბუთებს დოგმატიურ საბუთებს უწოდებენ. ასე, რომ ფილოსოფიურ მატერიალიზმს აქვს დოგმატიურ მეტაფიზიკის ნიშანდობლივი ხასიათი.

ხოლო, რა კავშირი აქვს ისტორიულ მატერიალიზმს ფილოსოფიურ მატერიალიზმთან? ისტორიკოს-მატერიალისტები თავის თეორიას ფილოსოფიურ მატერიალიზმზე ამყარებენ. ისტორიული პროცესსი ობიექტიური, კაცისაგან დამოუკიდებელი პროცესსიაო. იგი თავის-თავად არსებობს და მას აქვს აბსოლიუტური ხასიათი. ეს აბსოლიუტური ხასიათი იმაში გამოისახება, რომ ადამიანს არავითარ ცვლილების მოხდენა არ ძალ-უძს ამ პროცესსის მსვლელობაში. ასე რომ, როგორც ფილოსოფიურ მატერიალიზმის განმარტებით, იმისს ობიექტს (საგანს) მატერია (ნივთი) შეადგენს, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ საფუძვლად და უტყუარ ჭეშმარიტებად ჩაითვლება, ისე ისტორიულ მატერიალიზმის საგანს ცხოვრების ობიექტიური, კაცისაგან დამოუკიდებელი პროცესსი შეადგენს. მხოლოდ ამ მეორე შემთხვევაში, მატერიალური ცხოვრების პროცესსი წარმოებითი ურთი-ერთობის პროცესსია. როგორც პირველ შემთხვევაში (ფილოსოფიურ მატერიილიზმში) მატერიაა პირველ-მყოფელი სიცოცხლის მიზეზი, ისე მეორეში (ისტორიულ მატერიალიზმში) ეკონომიური (წარმოებითი) ურთიერთობაა მიზეზი საზოგადოებრივ ცხოვრებისა და ყველა იმისა, რასაც კულტურას უწოდებენ.

მატერიის აღიარება უტყუარ ცხოვრების სინამდვილედ, აბსოლიუტურ ჭეშმარიტებად, სიცოცხლის პირველმყოფელ მიზეზად—მეცნიერებამ დოგმატიურ აზროვნებად იცნო. ხოლო ეკონომიურ ურთი-ერთობის, ობიექტიური, კაცისაგან დამოუკიდებელი პროცესსი, როგორც მიზეზი და უკანასკნელი საფუძველი კულტურისა, ამავე ხასიათის აზროვნებაა.

თანამედროვე ფსიხო-ფიზიოლოგიამ უარჰყო მონისტიური ხასიათი მეტაფიზიკურ ფსიხოლოგიისა. მისის განმარტებით, არც სულია მიზეზი და დასაწყისი ცხოვრებისა, არც მატერია ორივე ჰიპოტეზა წმინდა მეტაფიზიკური ჰიპოტეზაა და, მაშასადამე, როგორც დოგმატი მეცნიერებიდან უნდა იყოს განდევნილი. აგრეთვე თანამედროვე მეც-

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი" № 1510

ენა. 6) ვიბორგის გუბერნიის, სოფ. რაივოლის მცხოვრებლები, რომლებიც ფინლიანდიის მკვიდრთა მოსახლეობას არ ეკუთვნიან, საზოგადო-საიმპერიო სამხედრო წესდებას ექვემდებარებიან, მაგრამ ნება ეძლევათ, რომ სამხედრო ბეგარა ფინლიანდიის სამთავროს სამხედრო წესდების თანახმად გადაიხადონ. 5) ჩვენ მიერ გამოცემული განსაკუთრებული ბძანების თანახმად, ეხლავე უნდა შეუდგნენ ფინების ქვეითა მსროლელ ბატალიონების გაუქმებას. 6) ვიდრე საოლქო სამხედრო ბეგრის საკრებულონი დაარსდებოდეს, ამ საკრებულოთა მოვალეობა, ახალი წესდების თანახმად ჯარის შემკრებმა საკრებულოებმა უნდა შეასრულონ. 7) ყველა იმ პირთ, რომლებიც ამ წესდების გამოცხადების დროს სამხედრო სამსახურში, ანუ სათადარიგო ჯარში ირიცხებიან, უფლება აქვთ სამხედრო ბეგარა 1878 წლის $^{6}/_{18}$ დეკემბერს გამოცემული წესდების თანახმად გადაიხადონ, მაგრამ ის სათადარიგო ჯარის კაცები, რომლებსაც ჯარში არ უმსახურნიათ, შესაფერის ვადით პირველი ხარისხის საერო ლაშქარში უნდა ჩაირიცხნენ. ნაბოძებია პეტერგოფს, 1901 წელს, ივნისის 28 დღესა, მეფობისა ჩვენისა მეშვიდესა წელსა“.

6 ივლისს პეტერბურგში გერმანიის გემი „შარლოტა“ მოვიდა; გემს I რანგის კაპიტანი ფიულერი უფროსობს; ამ გემით 49 კადეტი მოვიდა და მათ შორის მისი უმაღლესობა, გერმანიის იმპერატორის ვაჟიშვილი პრინცი ადალბერტ პრუსსიისა.

რეველი. გუშინ, დილით, ხელმწიფე მემკვიდრე საზღვაო არტილერიის რაზმის პირველი განყოფილების სამხედრო სროლას დაესწრო. 11 საათზე ხელმწიფე მემკვიდრისას საუზმე გაიმართა, რომელზედაც მიწვეულ იქმნენ: ობერ-შტალმეისტერი გრაფი ორლოვი-დავიდოვი, გუბერნატორი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი, ადმირალები, არტილერიის ბრიგადის უფროსი, ქალაქის თავი და სხვანი. საუზმის შემდეგ ხელმწიფე მემკვიდრე კიდევ დაესწრო სროლას; 5 საათზე გრაფ ორლოვ-დენისოვს, ესტუმრა აგარაკ მარიენბერგში. შემდეგ მისი უმაღლესობის თანადასწრებით კრეისერ «პამიატ აზოვა»-დან დვინსკის პოლკის ორი ბატალიონი გადავიდა და ალლუმი გამართა ნაპირზე მდგომ პეჩორის პოლკის ორის ბატალიონისა და არტილერიის წინაალმდეგ. $9^{1}/_{4}$ საათზე გემ «ზარნიცა»-ზე გუბერნატორი და ნავთ-სადგურის უფროსი მოვიდნენ და მას უმაღლესობას გამოემშვიდობნენ. $9^{1}/_{2}$ საათზე გემი „ზარნიცა“ ზღვაში გავიდა; ყველა გემებმა სამხედრო სალამი მისცეს.

ვოლოგდა. თივა მშვენიერი მოვიდა; მოსავალი მეტად კარგია.

კიევი. ამბავი მოვიდა, რომ კიევის გუბერნიაში ჭარხალს ჭია ახდენსო. ზოგან ჭიის გასაწყვეტად ტომრებით ჭიანჭველა მიიტანეს, მაგრამ ამანაც ვერა უშველა-რა. ყოველ დღე წვიმა მოდის. ეშინიანთ, რომ მოსავალი არ წახდეს. შუადღისას 27 გრადუსი სიცხეა.

სარატოვი. გზათა მინისტრი მოვიდა.

კოვნო. აქ კერძო სავაჭრო სკოლა იხსნება; ამ სკოლას სახელმწიფო კომერციულ სასწავლებელთა უფლება ექნება; სამის წლის კურსია; მოწაფეებს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა სამსახურისათვის ამზადებენ.

ვაშინგტონი. ნახევრად ოფიციალურ ცნობაში ჩინეთის საქმეების თაობაზე ნათქვამია: „როცა იაპონიამ მეტი საზღაური მოითხოვა, მაშინ ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომაც ესევე მოითხოვა თავისთვისაც. იაპონიამ დაინახა, რომ თუ თავის მოთხოვნის შესრულებას ბეჯითად მოითხოვდა, ამით მოლაპარაკების დასრულებას შეუძლებელს გაჰხდიდა, ამიტომ იაპონიამ ჯერჯერობით ხელი აიღო თავის თხოვნაზე. შეერთებული შტატების მთავრობა ყოველნაირად ცდილობს, რომ იაპონიის თხოვნა მომავალში რაიმე სხვა საშუალებით იყოს დაკმაყოფილებული. ამერიკის წარმომადგენელმა როკჰილმა მოწერილობა მიიღო, რომ დასთანხმდეს იმ წინადადების განხილვას, რომლითაც მოთხოვნილია, რომ ჩინეთის სადამოჟნო ბაჟები გადიდებულ იქმნეს, რათა ჩინეთმა საზღაურის გადახდა შეიძლოსო“.

მადრიდი. სენატმა და პალატამ დაამტკიცეს პასუხი დედოფლის ეპისტოლეს მიმართ; პალატა დაიხურა.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა ორდენ იფტიკარეს ნიშნები უბოძა ქედივს.

მოსკოვი. დღეს ბრესტის რკინის გზაზე, მოსკოვიდან 20 ვერსის მანძილზე მგზავრთა მატარებლის საქონლის ვაგონები დაეჯახა; მატარებლის მანქანა და 3 ვაგონი დაზიანდა; ერთი უბილეთო მგზავრი დაშავდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. თუმცა ამას წინად ყველა ლიბერალებმა ნდობა გამოუცხადეს თავიანთ წინამძღოლს კემბელ-ბანერმანს, ლიბერალ-იმპერიალისტები მაინც ისევ აპირებენ ასკიტის პატივსაცემლად ნადიმი გამართონ. «სტანდარდი»-ის ცნობით, ნადიმის მოთავეებს ყველა ლიბერალ-დეპუტატები მიუწვევიათ და ამით სურთ დაამტკიცონ, რომ ნადიმს დასუბრივი ხასიათი არ ექმნებაო. მაგრამ ჰფიქრობენ, რომ ომის მოწინააღმდეგეები არ წავლენ ნადიმზეო.

ამის თაობაზედვე «დეილი ნიუსი» შემდეგს სწერს:

«ამ ნადიმის გამართვის საქმე რომ ასკიტის ხელში იყოს, დარწმუნებული ვართ, უარჰყოფდა და აღარ გაჰმართავდა, რადგანაც შეუძლებელია სწორედ, რომ ასკიტს ჰსურდეს ისეთი მანიფესტაცია, რომელიც კემბელ-ბანერმანსა და სხვა გამოჩენილ ლიბერალებს არ მოსწონთ,—არ მოსწონთ იმიტომ, რომ ეს ნადიმი უსათუოდ ახალ განხეთქილებას დაჰბადებსო. ეჭვი არაა, ასკიტი ეცდება, რომ ამ ნადიმს მავნე გავლენა არა ჰქონდეს. მაგრამ სამწუხაროა სწორედ, რომ ესგამოჩენილი მოღვაწე ასე მჭიდროდ დაუკავშირდა პარტიის ერთ ფრთას, რომელსაც ნამდვილად მისი ადგილი პარტიის შუაგულშია და თანაც უფრო მარცხენა ფრთას უნდა უახლოვდებოდეს, ვიდრე მარჯვენას».

❋ პირველ მინისტრად ნამყოფმა როზბერიმ ყველას ყურადღება მიიქცია. ყველა ჰკითხულობს, ვის მიემხრობა ეს გავლენიანი ლიბერალი მოღვაწე: ლიბერალ-იმპერიალისტებს, თუ ომის მოწინააღმდეგეებსაო. ამის თაობაზე «დეილი ნიუს»-ის კორესპონდენტი შემდეგს სწერს: «საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ლორდ როზბერი სრულებით არ ეთანხმება იმპერიალისტებს: როზბერის აზრით, ომი სრულებით არ იყო აუცილებელი საქმე და მთავრობის პოლიტიკა არც ომის წინ და არც ომის შემდეგ სრულებითაც არა ჰგავდა სოლომონ-ბრძენის პოლიტიკასა».

საფრანგეთი. ვალდეკ-რუსსოს მთავრობის მომხრეთაგანი ბევრი მეტად უკმაყოფილოა, რომ მთავრობა ასე აჩქარდა და ასე მალე დახურა პარლამენტის სესსიაო. ამას გარდა, სამღვდელოთ მთავრობის ბოლოინდელმა ქცევამ ბევრი უკმაყოფილება და სამდურავი გამოიწვია. უკმაყოფილოები ამტკიცებენ: მთავრობამ იმიტომ დაითხოვა ასე მალე პალატები, რომ უნდოდა თავიდან აეცილებინა და ხმა არ ამოეღო ზოგიერთ საყურადღებო საქმეებზეო. ასე, მაგალითად, უკიდურესი სოციალისტები უსაყვედურებენ ვალდეკ-რუსსოს, რომ ბძანება სესსიის დახურვის შესახებ მეტად მალე წაიკითხა და არც კი დააცადა პალატას, რომ პასტრის წინადადება განეხილათ: პასტრი იმ დაწესებულებათა თაობაზე შეეკითხა მთავრობას, რომლებიც საერო განათლების სამინისტრომ რამდენიმე თავისუფალ მოაზრე პროფესორის წინააღმდეგ მიიღო. საყურადღებო უფრო ისაა, რომ თვით მთავრობის მომხრე სოციალისტებსაც არ მოსწონთ მთავრობის ბოლო დროინდელი ქცევა. ამ პარტიის წინამძღოლმა ვივიანიმ, რომელიც იმავ რიგს თამაშობს ეხლა პარლამენტში, როგორსაც ადრე მილიერანი თამაშობდა, გაზ. «ლანტერნა»-ში წერილი დაბეჭდა და გამოაცხადა, რომ სამინისტრო ეხლა სხვა ნაირად იქცევაო, რომ ვალდეკ-რუსსო აშკარად მარჯვნივ იწევს და ზომიერი რესპუბლიკელების ისეთ მეთაურებს უახლოვდება, რომლებიც მზად იყვნენ რესპუბლიკისთვის ეღალატნათ, როცა საფრანგეთის დემოკრატიულ წესებს საფრთხე მოელოდაო. ვივიანი შემდეგ ამბებს აქცევს ყურადღებას: ვალდეკ-რუსსო ორპირად მოიქცა, როცა პალატა ასოციაციების თაობაზე კანონ-პროექტს მეორედ იხილავდაო; მთავრობამ სემბას საყურადღებო წინადადება უარჰყო: სემბა თხოულობდა, რომ ჩინეთში ჯარის-კაცებისაგან ჩადენილ უდიერებისა და ბოროტების თაობაზე გამოძიება დაენიშნათო; როცა პასტრმა თავისი წინადადება შეიტანა, მთავრობამ, იმ აზრით, რომ დეპუტატისათვის პასუხი არ გაეცა, სწრაფად დახურა სესსიაო და სხვა.

რასაკვირველია, სამინისტროს წინააღმდეგი გაზეთები მეტად გახარებულნი არიან, რომ სამინისტროს ბანაკში ასეთი განხეთქილება მოხდა. ზოგი ჰფიქრობს, რომ ვალდეკ-რუსსო უსათუოდ პასუხს გასცემს ვივიანსაო.

ნიერული სოციოლოგია უარჰყოფს ისტორიულ მონიზმსაც—იდეალურია ეს მონიზმი თუ მატერიალური. მისის განმარტებით, როგორც ის ჰიპოტეზაა უსაფუძვლო, რომელიც კულტურას და საზოგადოდ იდეოლოგიურ ფაქტორს ხდის მთელ საზოგადოებრივ წეს-წყობილების მიზეზად, ისევე უსაფუძვლოა მეორე ჰიპოტეზაც, რომელიც კულტურულ ცხოვრებას (ზნეს, რელიგიას, კანონმდებლობას, ფილოსოფიას და სხვ.) ეკონომიურ ურთიერთობის შედეგად, „ზედნაშენად“ სთვლის. სინამდვილეში ორსავე ცხოვრების ფაქტორს (კულტურას და წარმოებითი ურთი-ერთობას) თანაბარი ადგილი უჭირავს და ერთის მეორის მიზეზად ჩათვლა შეუწყნარებელია.

ამგვარია ნამდვილ მეცნიერების დასკვნა, რომელიც უარჰყოფს დოგმატს—პირველმყოფელ მიზეზს, აბსოლუტს და სუბსტანციას (საგნის ძირითად, არსებით შეგნებას). ნამდვილი მეცნიერება ყოველთვის ფრთხილი და თავდაჭერილია. იგი ხელს ავლებს მხოლოდ იმ საგანს, რომლის გაგება და განმარტება მისს ხელშია. იგი არ ამაყობს, ზოგიერთ პუბლიცისტებივით, და თავი არ მოსწონს იმით, რის დამტკიცება არ ძალ-უძს.

III

ამ წერილის მეორე საკითხავი ამგვარად გამოისახება: არის თუ არა ისტორიული მატერიალიზმი ლოღიკურად დაკავშირებული «მარკსის ეკონომიურ» სწავლასთან? თუ ამგვარი კავშირი არსებობს, მაშინ ყოველი „მარკსისტი“ იმავე დროს «მატერიალისტია“; თუ ამგვარი კავშირი არ არსებობს, „მარკსისტი“ შეიძლება „იდეალისტიც“ იყოს, შეიძლება ის არც „იდეალისტად“, არც „მატერიალისტად“ არ მოინათლოს.

ჩვენ ვერიდებით მეცნიერთა და ფილოსოფოსთა ციტატების მოყვანას და აღნუსხვას სხვილ-სხვილ დიდ-ტანიან წიგნებისას. ჩვენ შევამჩნიეთ, რომ უმეტესს შემთხვევაში ჩვენი პუბლიცისტები ხმარობენ ამ იარაღს (უცხოელ მწერლების მოწმობას რომელიმე აზრის დასამტკიცებლად) მკითხველის დასაშინებლად და არა საგნის გამოსარკვევად. ჩვენ გვაქვს სახეში ის „მოწიგნობრივი ტერრორიზმი,“ რომელსაც საფუძვლად უფრო თავმოყვარეობა უდევს, ვიდრე კითხვის გარკვევის სურვილი. უაზრობა ადვილად ითვისებს ხოლმე რომელიმე ავტორიტეტის ქვეშევრდომობას და ადვილად იკეთებს ბუდეს იმისს მფარველობის ქვეშ.

უწინარესს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული მატერიალიზმი წმინდა ისტორიული კონცეპციაა და სოციოლოგიის ერთ ნაწილს შეადგენს. „მარკსიზმი“ კი წმინდა ეკონომიური დოკტრინაა (მოძღვრება), რომლის არსებითი ხასიათი ორ დებულებაში გამოისახება: ა) კაპიტალის კონცენტრაციაში და ბ) დამატებითი ღირეულობის თეორიაში. (теорія прибавочной стоимости). ეკონომიური ცხოვრების შესწავლამ შეიძლება ამ ორ თეორიის მომხრედ გაგვხადოს, შეიძლება ჩვენ სრულიად ვეთანხმებოდეთ იმ დასკვნას, რომელიც გამომდინარეობს ამ ორ დებულებიდან, ხოლო ყველა ეს ლოღიკურად არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ისტორიულ შეხედულებასთან. მართალია, მარკსი და მისი მიმდევარნი (ენგელსი და კაუცკი) სცდილობდნენ, დაეკავშირებინათ წმინდა სოციოლოგიური პრობლემა ეკონომიურ მოძღვრებასთან, მაგრამ მარკსმა თავის „zur—kritik“-ის წინასიტყვაობაში, კაპიტალის პირველ თავში, მანიფესტში, პრუდონის შესახებ საპასუხო წიგნში და სხვა ნაწერებში ვერ დაასაბუთა და დაამტკიცა ამნაირი ორ პრობლემის ლოღიკურ დაკავშირების აუცილებლობა და ეს კითხვა ისეთივე გადაუწყვეტელი დარჩა მისს მართლმადიდებელ მიმდევართა ხელშიაც. ენგელსმა და კაუცკიმ თავიანთ ისტორიკო-სოციოლოგიურ ნაწერებში ვერც ერთი ახალი საბუთი ვერ წამოაყენეს ამ კითხვის საბოლოოდ გადასაწყვეტად. ჩვენის აზრით, ამ კითხვას მეტის ცოდნით, გამბედაობით და ღონით ისევ მარკსის წინამორბედი ფეიერბახი მოეკიდა, რომელმაც ხელი ჩასჭიდა უძნელესს სიცოცხლის პრობლემის გარკვევას—ის ეცადა რელიგიოზური და ზნეობრივი იდეები მატერიალურად აეხსნა, ამ იდეების მიზეზი ეპოვნა ხალხის მატერიალურ ვითარებაში. ხოლო, ვიმეორებთ, ვერც ენგელსის სოციოლოგიურმა ნაწერებმა, ვერც ისტორიის ზედა-პირულ გადასინჯვამ კაუცკისამ, ვერც ფეიერბახის მძლავრმა ფილოსოფიურმა მეტოდმა ვერ მოუღეს ბოლო იმ მრავალგვარ მოსაზრებებს, რომელნიც იბადებიან თავში ამ ნაირად კითხვის გადაწყვეტის წინაალმდეგ. ასე, რომ მთელი ისტორიის შინარსის დაკავშირება ეკონომიურ ურთიერთობასთან ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ პრობლემათ დარჩა სოციოლოგიურ ლიტერატურაში და ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ერთის მოვლენის განკერძოვება და ამ განკერძოვებულ მოვლენის დანარჩენ მოვლენათა პირველმყოფელ მიზეზად ჩათვლა შეუძლებელია. მხოლოდ, მიუხედავად ამისა, ხალხის ეკონომიური ურთიერთობა თავის განსაკუთრებულ კანონს ექვემდებარება. ამ ურთიერთობის შეცვლა დამოკიდებულია ხალხის წარმოებითი ძალების ზრდაზედ. ამ წარმოებითი ძალების ზრდამ შეიძლება იმნაირი მიმართულება მიიღოს, რომელსაც ადამიანმა თავის ენაზედ „კაპიტალის კონცენტრაციად“ უწოდის ანუ, პირ-იქით, კაპიტალის დეცენტრალიზაციად (დაქუცმაცებად). მხოლოდ ამ წარმოებით ძალ-ღონის მსვლელობის და ცვლილების თეორიას არავითარი ლოღიკური კავშირი არა აქვს ამა თუ იმ ისტორიულ მოძღვრებასთან. ჯერ არავის არ დაუმტკიცებია, რომ ხალხის ეკონომიური ურთიერთობა მიზეზია ამა თუ იმ თვისების და ზომის კულტურის გაჩენისა. არც ის დაუმტკიცებია ვისმეს, რომ კულტურა „ზედ-ნაშენი“ (პოლიტიკური მმართველობა, ზნე-ჩვეულება, რელიგია, ფილოსოფია და სხვა) ეკონომიურ წარმოებითი ურთიერთობის განვითარების პირველი და უკანასკნელი მიზეზი ყოფილიყოს.

თუ ეს ასეა, შეიძლება ისტორიულ კითხვებში კაცი «იდეალისტი“ იყოს, ხოლო ეკონომიურ კითხვების გადაწყვეტაში-კი „მარკსისტი“. აგრეთვე შეიძლება სოციალიზმის წინააღმდეგი (ეკონომიურ კითხვებში) ისტორიულ პროცესსის ახსნაში მატერიალისტად სახავდეს თავის თავს.

ამ გვარად ჩვენ ვნახეთ, რომ ისტორიულ მატერიალიზმის მეტოდოლოგია არა მეცნიერული მეტოდოლოგიაა, აგრეთვე ვნახეთ, რომ ისტორიული პრობლემა ლოღიკურად არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ეკონომიურ მოძღვრებასთან.

არჩილ ჯორჯაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

✿ გაზეთებში ცნობა იყო მოყვანილი, ვითომ საფრანგეთის მთავრობისათვის პაპის კონგრეგაციების თაობაზე დიპლომატიური ნოტა გამოეგზავნოს: ვალდეკ-რუსსოს სამინისტრომ გამოაცხადა, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ამ ნაირი ნოტა არ მოჰსვლია.

✿ «ფიგარო» იუწყება: «ბენედიქტელი ბერების საზოგადოების უმთავრესმა წინამძღვარმა გერმანიის იმპერატორისაგან ნებართვა აიღო, რომ გერმანიაში რამდენიმე მონასტერი დააარსოს. ეს წინამძღვარი თურმე მეტად დაახლოვებული ყოფილა ვილჰელმ II-თან. ფრანგი ბენედიქტელების ერთი ნაწილი გერმანიაში გადასახლებას აპირებს.

✿ «გოლუა» იუწყება: «სენატის დახურვის წინად სენატში მრავალი თხოვნა წარუდგენიათ ასოციაციების თაობაზე მიღებულ კანონ-პროექტის შესახებ. ერთის გარდა, ყველა ეს თხოვნები ამ კანონის წინააღმდეგაა დაწერილი; ავტორები თხოულობენ, რომ ეს კანონი გაუქმდესო».

✿ სამხედრო მინისტრმა 8 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა მე-147 ქვეითა პოლკის პოლკოვნიკს: ამ პოლკოვნიკს 50 დღით დაეტუსაღებინა ერთი ჯარის-კაცი, რომელსაც პროტესტი გამოეცხადებინა, რომ მამაჩემს საეკლესიო წესით რად ასაფლავებთო.

სამხრეთ-აფრიკა. პრეზიდენტ კრიუგერს 9 ივლისს (ახალი სტილით) ლუი ბოტასა და ქრისტიან დევეტისაგან კიდევ ორი მოხსენება მოჰსვლია. გენერალი ბოტა ატყობინებს პრეზიდენტს, რომ წარსულ კვირას ტრანსვაალში ბურების რაზმები დავათვალიერე და ყველა რაზმები მშვენივრადაა მოწყობილიო. გენერალი დევეტი თავის მხრივ ატყობინებს, რომ კაპის ახალშენში თანდათან უფრო ბევრი ჰოლანდიელი უერთდება მეომარ ბურებსაო.

✿ ჰააგაში შემდეგი ამბავი მოვიდა დორნენტომარკეზიდან: გენერალმა ბოტამ გამოაცხადა, რომ თუ ინგლისელები ისე მოექცევიან ბურებს, როგორც ეხადებს, მაშინ მეც ჩემის მხრივ ერთ ინგლისელსაც აღარ დავინდობო.

✿ ინგლ. ლიბერალური გაზეთი «სპიკერ»-ი ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობამ ბევრი ადგილები ამოშალა იმ წერილებიდან, რომლებიც გენერალ ბოტასა და დევეტს ლორდ რობერტსისათვის გამოეგზავნათ ფერმების დაწვის თაობაზეო. ასე, მაგალითად, როცა მთავრობამ ეს წერილები «ლურჯ წიგნში» გამოაცხადა, სხვათა შორის, ბოტას უკანასკნელი წერილის ნახევარი სულ დამალაო. ამ წერილში ბოტას შემდეგი მიუწერია რობერტსისათვის: «რაც უნდა უდიერად და სასტიკად მოექცეთ ჩვენს ქალებსა და ბავშვებს, გარწმუნებთ, რომ მაინც ჩვენი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელს ვერ აგვაღებინებთ».

ავსტრ-უნგრეთი. ჩეხური გაზეთები იუწყებიან, რომ მთავრობა მაინც თავისას არ იშლის და ბეჯითად თხოულობს, რომ ჩეხიის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში მარტო გერმანული ენა იხმარებოდესო. მაგალითად, ყველა სამაზრო სასამართლოებს გაასხენეს, რომ საქმის წარმოება გერმანულ ენაზე იწერებოდესო; ჩეხიის ყველა რკინის გზების მმართველობას უბძანეს, რომ, როცა საქონელი ჩეხიიდან სხვა პროვინციებში იგზავნება, საჭირო დოკუმენტები გერმანულ ენაზე უნდა იწერებოდესო და სხვ. მით მაინც ისიც მართალია, რომ ამ ჟამად ჩეხებსა და გერმანელებს მოლაპარაკება აქვთ გამართული, რომ რამენაირად მორიგდნენ და შეთანხმდნენ ერთმანეთთანაო.

ავსტრალია. წარსულ ოთხშაბათს, იმ წლის თავზე, როცა დედოფალი ვიქტორია ავსტრალიის ფედერაციის დაწესებას დასთანხმდა, ამ ფედერაციის მინისტრ-პრეზიდენტმა ბარტონმა ჩემბერლენს დეპეშა გაუგზავნა. ბარტონი ამ დეპეშაში, სხვათა შორის, სურვილს აცხადებს, რომ ბრიტანიის იმპერია ნიადაგ გაძლიერებული იყოს. იმავე დღეს ფედერალურ პარლამენტს კანონ-პროექტი წარუდგინეს, რომლის ძალითაც ავსტრალიაში სამხედრო სამსახურის ბეგარა წესდება. ყველა ავსტრალიელი 18 წლიდან, ვიდრე 60 წლამდე, სიაში იქნება ჩაწერილი, მაგრამ მშვიდობიანობის დროს ჯარში მხოლოდ ნებაყოფლობით შესული ხალხი მსახურებს. ეს მუდმივი ჯარი ავსტრალიის გარეთაც გაიგზავნება, მაგრამ ეროვნულ ჯარს-კი, რომელიც ყუნწვითაა მოგრებილი, თუ თითონ არა მოისურვა, საზღვარ-გარედ ვერ გაჰგზავნიან ომრად.

ჩინეთი. ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ ლიხუნჩანგს განზრახვა აქვს, მანჯურიიდან ყველა იქ მყოფი ჩინელი ჯარები წაიყვანოს, რათა ამ ჯარებს შეტაკება არ მოუვიდეთ რუსეთის ჯარებთანაო.

✿ «პარი ნუველ»-ს სწერენ ლონდონიდან: «პეკინიდან მრავალი ცნობა მოდის, რომ «სოფლელების საზოგადოებამ» კანტონიუს სამხრეთით ჩინეთის იმპერატორის ჯარები დაამარცხაო. უცხოელი ელჩები სთხოვდნენ ჩინეთის მთავრობას, რომ ეს საზოგადოება აეკრძალა, მაგრამ მთავრობამ არად ჩააგდო ეს მოთხოვნილებანი; ამიტომ ახალი აჯანყება თვით ჩინეთის მთავრობის დაუდევნელობით მოხდაო».

ახალი ამბავი

✦ ამ კვირაში ტფილისში მოელიან ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. ღ. ზ. მელიქიშვილს, რომელიც ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება თავად-აზნაურთა საქმეების გამო.

✦ სოფ. ქიათურიდან გვწერენ: ქიათურის ბანკის საბჭოს თავმჯდომარემ შორაპნის მაზრის მარშალმა თ-დმა წერეთელმა შემდეგი მადლობის დეპეშა მიიღო ფინანსთა მინისტრისაგან: „მინისტრმა მომანდო გამოვუცხადო მისი მადლობა ქიათურის მარგანეცის მრეწველთა საკრედიტო საზოგადოებას იმ დეპეშის გამო, რომლითაც მომმართა საზოგადოებამ მოქმედების დაწყების დღეს. საკრედიტო კანცელიარიის დირექტორი მალეშევსკი“.

✦ ქუთაისის გუბერნიის მმართველის განკარგულებით, ხუთშაბათს, 6 ივლისს, ბათუმში წავიდა საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი ბიბიკოვი ბათუმის საბჭოში ეხლახან მომხდარ ინციდენტის გამოსაკვლევად („ჩერნ. ვესტ.“).

✦ ტფილისის გუბერნატორმა ცირკულიარით შეატყობინა გუბერნიაში მსახურ ყველა ექიმებს, რომ მომავალ ენკენისთვეში ტფილისში მოხდება კავკასიის ექიმთა კრება და სასურველია, მსახური—ექიმებიც დაესწრნენ მასაო, რისთვისაც ყველა მსურველნი დროებით განთავისუფლებულნი იქმნებიან სამსახურიდანაო.

✦ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლად კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის მომწყობელ უმთავრეს კომიტეტში დაინიშნა ს. ო. გულიშამბაროვი.

✦ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზე ექსპონატების მიღება შესწყდება მომავალ აგვისტოს 10 რიცხვიდან.

✦ კვირას, 15 ივლისს, დილის 11 საათზედ, მადათოვის კუნძულზედ დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ სადგომში მოხდება საზოგადო კრება ამ ამხანაგობის წევრთა. განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: გამგეობის ნახევარი წლის მოქმედების ანგარიში, მოხსენება გამგეობის ორის წევრის მოქმედების შესახებ, მოხსენება კრედიტის მოპოებაზედ, ახალი წევრების არჩევანი და დამფასებელ კომისიის მოხსენება.

✦ ტფ. საქალაქო გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს თხოვნა, რომ მიეცეს გამგეობას ნება 50-ათასი მანეთი ისესხოს ქალაქის მე-3 საობლიგაციო სესხიდან საქალაქო საყასბო დუქნების მოსაწყობად.

✦ ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას საქმე გამგეობის მოხელეთა კარტაშევის და ჯანაშვილის შესახებ, რომელთაც ფულის გაფლანგვას სწამებენ.

✦ თელავის ქალაქის მოურავმა, თათუზოვმა, შუამდგომლობა აღძრა სათანადო მთავრობის წინაშე, რომ დაარსდეს თელავში გარეშე მოსიარულეთა საავადმყოფო ერთის საწოლით. სამაზრო ექიმმა მიტროფანოვმა თანხმობა გამოაცხადა, მუქთად მიიღოს განზრახულს ამბულატორიაში მოსიარულე ავადმყოფები.

✦ გუშინ ტფილისში ჩამოვიდნენ სამსახურის საქმეების გამო: სამთო მმართველობის დეპარტამენტის უფროსი ვ. ა. სოროკინი და გენ.-მაიორი ნეჩაევი.

✦ როგორც გვატყობინებენ, წასულ კვირაში, ს. შინდისში, (გორის მაზ.) კრება ჰქონდა შინდისის სინდიკატის წევრთ ზოგიერთ საკითხების განსახილველად; მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საქმე სასურველ ნიადაგზე არ არის დაყენებული, რათა ყოველ მხრივ მოთხოვნილებას გარეშემო საზოგადოებათა მცხოვრებლებისას ასრულებდეს, სინდიკატის საქმე მაინც კარგად მიდის თურმე, რასაც უმთავრესად ხელს ის გარემოება უწყობს, რომ მცხოვრებთ ბაზარი ეშორებათ. ეს აღნიშნული დაწესებულება იმ მხრივადაც მეტად თანაგრძნობის ღირსია, რომ იგი შეეცდება სალი საქონელი ხელმისაწვდომ ფასად მიაწოდოს მცხოვრებთ და ამით ააშოროს ჩარჩ-ვაჭრების გავლენა-გაყვლეფას ხალხი. წმინდა მოგება ამხანაგობას წელს მხოლოდ 220 მან. ჰქონია. იმედია, საქმის მოთავენი ღრმად ჩაუკვირდებიან ასეთ დაწესებულებათ ჩვენის სოფლებისათვის მნიშვნელობას და ყოველივე ღონეს არ მოაკლებენ მის წარსამატებლად და გასაძლიერებლად.

✦ პარასკევს, 6 ივლისს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ცხენის რკინის გზის თვალ-ყურის მგდებელ კომისიას სხდომაზე მოწვეული იყო აგრეთვე ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორი ბ-ნი ბლანში. კომისიამ განიხილა რამდენიმე საქმე და მათ შორის, შემდეგიც: ცხენის რკინის გზის სადგურებში დარიგებულია წიგნები, რომლებშიაც მსურველს შეუძლია ჩასწეროს საჩივარი გზის მოხელეებზე, ან საყვედური ამა თუ იმ უწესოების გამო. ამ წიგნებს აქამდე უსახელო საზოგადოების სამმართველოში გზავნიდნენ; ეხლა კომისიამ გარდასწყვიტა, რომ ეს წიგნები მას ეგზავნებოდეს განსახილველად. ცხენის რკინის გზის ახალ ლიანდაგების შესახებ უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს განუცხადებია, რომ პროექტებს აღნიშნულ გზების შესაკეთებლად მომავალ კვირაში წარმოვადგენო.

✦ შემახიის მაზრიდან დაბრუნდა აგრონომი ზავაროვი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ მაზრაში გაჩენილ მინდვრის თაგვების შესახებ გამოკვლევის მოხდენა. ბ. ზავაროვის სიტყვით, თაგვებს დაუზარალებია მინდვრები 400 ვერსის მანძილზე; სულ 175-ათასი მანეთის ზარალი მოსვლიათ მცხოვრებთ, ასე რომ საჭიროა ჩქარა მიეშველონ მათ. თაგვების ამოსაწყვეტად ზავაროვი საუკეთესო საშუალებად სთვლის დარიშხანით მოწამვლას, რაც 30 კ. ხარჯს მოითხოვს თითო დესეტინაზე.

✦ სამხრეთ რუსეთის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მევენახეობის კომიტეტი სწერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ ამ ბოლო ხანებში მეტად გაძლიერებულმა მეღვინე-მევენახეობამ წამოაყენა მრავალი საკითხები, რომელთა განხილვა, გარდაწყვეტა საჭიროა ახლო მომავალშიო; კომიტეტს აზრად აქვს შეჰკრიბოს ცნობები ამა თუ იმ საკითხების შესახებ და მოიწვიოს მთელი რუსეთის მევენახეთა და მეღვინეთა სპეციალისტების კრება მათ განსახილველ-გადასაწყვეტად; ამიტომ კომიტეტი სთხოვს საზოგადოების საბჭოს, გაუგზავნოს სხვა და სხვა დაწესებულებებსა და პირთ შემდეგი საკითხები: დრო არის ეხლა, თუ არა მოწვეულ იქნეს მთელი რუსეთის მევენახეთა კრება, უმთავრესად რომელი დრო წელიწადში უფრო მოსახერხებელია ასეთი კრების გასამართავად; რომელი საკითხებია, მათის აზრით, საჭირო კრების განსახილველად წარსადგენი და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული მათდა განსახორციელებლად და სხვა. თავის მხრით კომიტეტი საჭიროდ სცნობს შემდეგის კითხვების განხილვას: 1) მეღვინეობისა და მევენახეობის შესასწავლად საჭირო ტიპის სასწავლებლის შესახებ; 2) ღვინის დაყენების საჭიროების და ღვინით ვაჭრობის კრიზისის შესახებ რუსეთში, 3) ღვინის ფალსიფიკაციისა და მის წინააღმდეგ ზომების შესახებ, 4) რკინის გზებით ღვინის გადატან-გადმოტანის საქმის გაუმჯობესების შესახებ; 5) საზოგადო სარდაფების დაარსების შესახებ; 6) ვენახების სეტყვით დაზარალებისაგან დაზღვევის შესახებ; 7) ვენახების გირაოთი კრედიტის მიღების შესახებ; 8) ამერიკულ ვაზის გასავრცელებლად საჭირო ზომების შესახებ და სხვანი. ამასთანავე კომიტეტი სწერს სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, როცა კი შეიკრიბება საჭირო მასალა და თანხმობა გამოცხადდება ყველა კუთხეებიდან აღნიშნულ კრების მოსაწვევად კომიტეტი შეეცდება ამ საკითხების შესახებ მოხსენებების შედგენას და აგრეთვე აღძრავს შუამდგომლობას, ნება რთვა იქმნეს მთავრობისაგან დართული სრულიად რუსეთის მეღვინე-მევენახეთა კრებების გასამართავად სხვა და სხვა საგნების განსახილველ-გარდასაწყვეტად.

✦ გუშინ წინდელ №-ში ჩვენ მოყვანილი გვქონდა ახალი ამბავი, რომ სოღანლუღში ორი გვამი იპოვეს ვიღაც თათრებისაო. ეხლა გვატყობინებენ, ეს თათრები მოუკლავს ავაზაკთა ბრბოს ჰამიდის მეთაურობით. ბრბო ბორჩალოს მაზრაში იმალება და მის გასაფანტავ-დასაჭერად გაიგზავნა ლარაჯთა რაზმი.

✦ პარასკევს, 6 ივლისს, საღამოს სხდომაზედ ტფილისის ცხენის რკინის-გზის თვალყურის მგდებელმა კომისიამ დაადგინა, შეძლების და გვარად, გადიდებულ იქმნეს ტფილისის ტრამვაის ვაგონების რიცხვი, განსაკუთრებით მიხეილის პროსპექტზედ კვირა-უქმე დღეებში.

✦ გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა დაათვალიერა ცეცხლის მქრობ რაზმის სადგომი და სრულიად უვარგისად სცნო იგი. ამიტომ ქალაქის გამგეობას შეატყობინა—საჭიროა კაპიტალური რემონტი გაუკეთდეს სახლსაო.

✦ რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა საზოგადო კრებამ დაადგინა, იშუამდგომლონ ფინანსთა მინისტრის წინაშე რკინის გზის ელევატორების, საწყობების, ქალაქში მდებარე სადგურების და ბუფეტების (თუ თვითონ რკინის გზა ინახავს) გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე.

✦ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს სისხლის სამართლის დებულების საქმე, განზრახვა აქვს თავის პროექტში მოსპოს ცნობილი „მესამე პუნქტი“, რომლის ძალით შეიძლებოდამოხელეს სამსახურიდან დათხოვნა მიზეზთა აუხსნელად.

✦ როგორც ისმის, განზრახულია ხელახალი გადასინჯვა ებრაელების ამა თუ იმ ადგილას ცხოვრების უფლებისა. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰკრებს ცნობებს ყველა იმ ებრაელ ექიმების, დანტისტების, ბებია ქალების და ფარმაცევტების შესახებ, რომელნიც მოპოვებულ უფლებათა შესაფერ მოღვაწეობას არ ეწევიან.

✦ ციციშვილის აღმართი ავლაბარზე, რომელზედაც კარგა ხანია შეწყვეტილია ეტლების მიმოსვლა, მალე იქნება შეკეთებულ-გამაგრებული. განსაკუთრებულმა კომისიამ მოიწონა შედგენილი პროექტი, რომლით მთელი მუშაობა დიდ ხარჯს მოითხოვს. დროებით კი აღმართი შეკეთებული იქნება იმდენად, რომ ეტლების მიმოსვლა შეიძლება გაიხსნეს 16 ივლისამდე; ეს მცირე რემონტი დაჯდება 1518 მანეთი.

✦ დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს ჟურნალ „მოამბის“ მე-VI №-რი შემდეგის შინაარსით:—„საბრალონი“, რომანი ვიქტორ ჰიუგოსი, პირველი ნაწილი, თარგმანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანისა; „სიმღერა“ ლექსი განდეგილისა; „მარიამ შოტლანდელი“, დრამა ხუთ მოქმედებად, თაგმანი ივ. ზურაბიშვილისა; „ორი მეგო-

ბრობა", თარგმანი კიტა აბაშიძისა; „ვეფხის-ტყაოსნის" ყალბი ადგილები, ალ. ს—შვილისა; „დიდი ხელნაწერი", მ. ჯანაშვილისა; „ძველი თაობა", არჩილ ჯორჯაძისა; „უცხოეთის მიმოხილვა".

◆ უკანასკნელ დღეებში ტფილისში მეტის-მეტი სიცხეები იდგა (42 გრადუსამდე ადიოდა შუადღეზე). გუშინ კარგი წვიმა მოვიდა და აგრილდა კიდეც.

„შუამავლის" ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება

პარასკევს, 6 ივლისს, ტფ. სათავ.-აზნ. ბანკის სადგომში შესდგა ტფ. სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის" წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ა. ნ. ფურცელაძე. დამსწრე წევრნი შეუდგნენ ამხანაგობის გამგეობის ორის წლის მოქმედების ანგარიშის განხილვას. როგორც ანგარიშიდან სჩანს, 1899 წელში საზოგადო კრების დადგენილებით, ამხანაგობის მაღაზიის საქმეების წარმოება უნდა ჩაჰბარებოდა გამგეობის ერთს წევრთაგანს ი. მ. კანდელაკს; კანდელაკს წინა გამგეობის წევრთაგან ანგარიშით არ ჩაჰბარებია მაღაზია ასე, რომ გასაღების მიღების შემდეგ კიდეც ყველანი შემოსცლიან; კანდელაკს მაღაზიაში უნახავს მხოლოდ ნუსხა, საიდანაც სჩანს, რომ აღნიშნულ წლის 5 ოქტომბრისათვის მაღაზიაში ყოფილა ნაღდი ფული მხოლოდ 15 მ. 21 კ., დარჩენილი ნისიად გაცემული საქონელი 3605 მ. 40 კაპ., საქონელი მაღაზიაში 1642 მ. 13 კაპ., ამ ქაღალდში მოუთავსებელი ყოფილა მაღაზიის ინვენტარი 765 მ. 50 კაპ., სულ 6028 მ. 24 კ., ვალი ყოფილა სხვა და სხვა მოვაჭრეთა 2374 მ. 95 კ. ეს აღნიშნული ვალი და ქონება არავისაგან შემოწმებული არ ყოფილა; დავთრებთან შემოწმებით ანგარიში სწორი აღმოჩნდა; მაღაზიაში აღმოჩენილა აგრეთვე გაფუჭებული გადასაყრელი საქონელი სულ 223 მ. 6 კ, ასე, რომ ან. ყაზახაშვილისაგან მაღაზიაში დატოვებული ქონება აღნიშნულ ზარალის შემდეგ ყოფილა 5805 მ. 18 კ. 1899 წლის 5 ოქტომბრიდან 1901 წ. მაისის 13-მდე საწევრო და სხვა ფული შემოსულა 296 მ. სულ მთელი ქონება გამოიხატება 6101 მ. 18 კაპ., ვალის 2374 მ. 95 კ. გამოკლებით ყოფილა—3726 მ. 23 კ. ამ დროს განმავლობაში გასავალი ყოფილა სულ 4429 მ. 86 კაპ. ამა წლის 13 მაისისათვის ამხანაგობის მთელი მდგომარეობა გამოიხატება—7679 მ. 82 კ. და ვალის—6303 მ. 19 კაპ. გამოკლებით ამხანაგობას თავნი აქვს 1376 მ. 63 კ. წევრი ა. თოიძე აცხადებს, რომ ამხანაგობის ვალად უნდა ჩაითვალოს ის 6000 მ. ფული, რომელიც შემოტანილია წევრებისაგან, ასე, რომ მთელი ვალი ამხანაგობისა 12 ათას მანეთამდე იქმნებაო; ბ-ნი დ. კარიჭაშვილი ამბობს—ეგ შეცდომაა, რადგანაც არასოდეს კაცი თავის-თავს არ უნგარიშებს და ზარალს ვალად არ მიიჩნევსო. ცოტა ხნის კამათის შემდეგ, კრებამ წარმოდგენილი ანგარიში დაამტკიცა. ამავე კრებაზე განხილულ იქმნა გამგეობის მოხსენება წესდების მე-16 § შეცვლის შესახებ. კრებამ ეს მუხლი ამნაირ რედაქციით შესცვალა: ახალი წევრი ამხანაგობისა მიიღება გამგეობისა და კონტროლის შეერთებულ სხდომის დადგენილებით. კრებამ მიიღო აგრეთვე მოხსენება იმის შესახებ, რომ გადიდებულ იქმნეს პაის ფული 10 მ. 20 მანეთამდე; ოც მანეთიან პაის პატრონს ექმნეს ორი ხმა, ორს ხმაზე მეტი არ ექმნება არც ერთ წევრს, რამდენი საწევრო ფულიც უნდა ჰქონდეს შემოტანილი.

დასასრულ ამორჩეულ იქმნენ კონტროლის წევრებად ბ-ნი კარიჭაშვილი, რატიშვილი და კოლელიშვილი; საზოგადოების გამგეობის წევრებად—ორდაზიანი და ბერიშვილი და გამგეობის წევრთა კანდიდატებად—დავითაშვილი და ტატიშვილი, ხოლო კონტროლისა—მ. მაისურაძე და მღ. ზერიძე.

პროვინცია

ქ. სიღნაღი. სიღნაღის თვით მმართველობას მკათათვის 3 მეშვიდე მორიგი კრება ჰქონდა. სხვათა შორის, უნდა განეხილათ მასწავლებელ აკ. გრიგორიანის წინადადება. აკ. გრიგორიანი სთხოვდა ქალაქს, ნება მომეცით კერძო საშუალებით ხეები გავაშენო გადავნის კარებიდგან ტერ სტეფანოვის ბაღამდე გზის ორივე მხარესო. ეს გზა შეადგენს ქალაქის სასეირნო ადგილს და მოსეირნე ხალხი ზაფხულის სიცხეში თავს შეაფარებენო. შემდეგ ხანგრძლივის კამათისა იმ დასკვნას დაადგნენ, რომ გრიგორიანმა გააშენოს ორივე მხარეს თელავის გზაზე ხეივანი და დარგოს უეჭველად აკაციისა და ცაცხვის ხეები. შემდეგი კითხვები შეეხებოდა სამაზრო ზედამხედველის თანამდებობის გახსნას. ხმოსანი ნ. ამირხანოვი თხოულობდა გაეხსნათ სამაზრო ზედამხედველის თანამდებობა და ამისთვის შემდეგ წყაროს უჩვენებდა: დღემდის თვით-მმართველობას ორი ბიჭი ჰყავს, ორი ფულის ამკრეფი და ერთიც ზედამხედველი, ერთი კაცი ვიყოლიოთ—და მეორე ბიჭის ჯამაგირით და სამი ფულის ამკრეფისა ერთი კაცი ვიყოლიოთ, რომელიც ფულსაც შეაგროვებს და ბაზარსაც ყურს უგდებს, სასყიდლად კი 400 მან. დაუნიშნოთო. ხმოსან ამირხანოვის წინადადება მიიღეს და დაამტკიცეს ერთი ბიჭისა და სამი ფულის შემკრების თანამდებობის გაუქმებით ბაზრის ზედამხედველი იყოლიონ 400 მან. ჯამაგირით. ამ კითხვების გადაწყვეტის შემდეგ მამასახლისმა ტერ-ავაქოვმა გამოაცხადა: ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის შედგენის დროს თავჯდომარეთ ვ. სოფაროვი არის დამტკიცებულიო და რადგან უკანასკნელი საგანი ქალაქის მომავალი მამასახლისისა და იმის თანაშემწის ჯამაგირის დანიშვნაა, ჩემს ადგილს სოფაროვს ვუთმობ და არ მინდა მონაწილეობა მივიღო ამის გადაწყვეტაშიო. ესევე განაცხადა მამასახლისის თანაშემწე ენიკოლოფოვმა და ორივენი გარეთ გავიდნენ. სოფაროვმა მამასახლისის ადგილი დაიკავა და შეეკითხა კრებას, რამდენს უნიშნავთ მომავალ მამასახლისს და მის თანაშემწეს ჯამაგირათო. სამი აზრი გამოითქვა: ერთი თხოულობდა ისევ ძველი ჯამაგირი დარჩესო ე. ი. მამასახლისს 1000 მან. და თანაშემწეს 600 მანათით—მეორენი—მამასახლისს 800 მან. და თანაშემწეს 500 მან და მესამე—მამასახლის 700 მ. და თანაშემწეს კი 360 მან. სამივე წინადადებას კენჭი უყარეს და ხმის უმეტესობით გადასწყდა—მამასახლისს მიეცეს 800 მან. და იმის თანაშემწეს 500 მან. სცდილობდნენ რაც შეიძლება შეემცირებინათ ჯამაგირები. გვახსენებთ ამ ქალაქის გულ შემატკივრებს, რომ მოხელეთა ჯამაგირების დაკლება კი არ შესძენს ქალაქს ქონებას, არამედ იმისთანა წყაროების გამონახვა, რომელიც ქალაქის შემოსავალსაც გაადიდებს და მოქალაქეთაც ცხოვრებას გაუადვილებთ. ქალაქის კეთილდღეობისათვის და შემოსავლის გასაძლიერებლადაც უსაჭიროესნი არიან: წყალი, შენობების მოწყობა, შესაძლებელი და ადვილი მიმოსვლა ერთმანეთში (ქუჩები) თუ სოფლებში, ქუჩების სისუფთავე და განათება. უამისოთ ქალაქს გარეშე ხალხი არ ეტანება და არც შემოსავალი აქვს. სხვას რომ ყველას თავი დავანებოთ, დღევანდლამდის ქალაქს სასმელი წყალი არა აქვს და არც აბანოა მთელს ქალაქში და ვისაც სურს საზოგადო აბანოს დაარსება, ან ქალაქში წყლის ამოყვანა და ყველა მკვიდრი დიდის სიამოვნებით გაიღებს თავის წვლილს. თორემ რასა ვხედავთ? ახალმა შემოღებულმა თვითმმართველობამ ქალაქს ხარჯი წაუმატა ერთი სამათ წინანდელ მოხელეთა და სამწერლოს შესანახად და სარგებლობა კი არა აჩვენა რა. თვით მმართველობის დროს ქალაქი უფრო უყურადღებოდ არის დატოვებული, ვიდრე დეპუტატების დროს იყო. ქალაქის ერთ უტყუარ და უცილობელ შემოსავალს შეადგენს შენობების გადასახადი. 1872 წლიდან ახალი დაფასება შენობებისა არ მომხდარა—შენობები ერთი ოთხად მოუმატა და ეს ახალი შენობები დღემდინ უხარჯოდ არიან, როდესაც ძველი ბუხუნტოები და დანგრეული სახლები ხარჯს იხდიან. თვითმმართველობამ ოთხის წლის განმავლობაში, განგებ თუ უნებურად, ეს წყარო ხელიდან გაუშვა და ამითი ქალაქს, სულ რომ ცოტა, წელიწადში 3000 მან. ზარალი მისცა. იმედია, ახალი ხმოსნები ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ და ქალაქის საკეთილდღეოდ ისარგებლებენ იმ კანონიერ გადასახადით. საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ ახალი ხმოსნები ფრთხილად ეკიდებიან საქმეს, მაგრამ ცოტა ცოდნა ეტყობათ და დაპარავთ წესი და მსჯელობის სიდინჯე ნაკლებათ არის დაცული.

საშინელი სიცხეები დაიჭირა ამ ზაფხულზე, ერთი ბეწვა სინესტეც არ არის ჰაერში. ქუჩებში საშინელი მტვერი ადის და ჰაერში შეკრებული ბუღი სულს ხუთავს ადამიანს. ამ სიცხე-პაპანაქებაში მევირეებიც გაიფიცნენ და წყალს აღარ უზიდებიან თავის დროზე, რადგან მეფურგუნეები და მეეტლეები ცხენებს წყაროზე ასმევენ წყალს და გვაგვიანებენო. ყველა სანოვაგეს ფასი მოუმატა და ფქვილი ხომ დღითი დღე ძვირდება: ფუთ ახლავე 1,50—1,60 კაპ. ფუთი რუსეთული ფქვილი. ადგილობრივი ფქვილი აღარ მოდის ბაზარში. სოფლებში სჩივიან,—საქონელს ფასი არა აქვსო და ბაზარში კი ხორცი ძვირია.

დამსწრე.

დ. ზესტაფონი. ამას წინად აქაურმა ახლად ამორჩეულმა სამკითხველოს გამგეობამ საზოგადო კრება დანიშნა. ასეთი სუსხიანი კრება ჯერ აქ არ ყოფილა. კრებაზე 31 ნამდვილი წევრი გამოცხადდა, 40-მდე გარეშე პირიც დაესწრო, ასე, რომ სამკითხველოს დარბაზში ტევაც აღარ იყო. ეს ქარ-ბუქი გამოიწვია ბიბლიოთეკარის არჩევანმა. საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო, ერთ ნაწილს არა ჰსურდა, რომ ყოფილი ბიბლიოთეკარი სამკითხველოში დარჩენილიყო და ამის საბუთიც ჰქონდა; მეორე ნაწილი საზოგადოებისა კი მხარს უჭერდა მას. კრება გაიხსნა საღამოს 9 საათზე, ივანე არდიშვილის თავმჯდომარეობით. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ბიბლიოთეკარის ერთი ახირებული მოქმედება. ჯერ შეიტანა გამგეობაში წინადადება: «ბიბლიოთეკარობა აღარა მსურს»-ო. მეორეთ შეიტანა: «მსურს, თუ ისე იქნება საქმე დაყენებული, როგორც მე მინდა და თან ჯამაგირსაც მომიმატებთ»-ო. მესამეთ შეიტანა განცხადება: «ჯამაგირის მომატება აღარ მინდა, ისე მოვიქცევი, როგორც სამკითხველოს გამგეობას ესურვება»-ო და სხვ. გამგეობას განუხილავს ყველა ეს წინადადებანი და სხვებისაც და დაუდგენია: ო. ბაქრაძის თხოვნა დარჩეს უყურადღებოდ და ბიბლიოთეკარის ადგილზე წარმოგვიდგენია კანდიდატად დ. მარაქველიძე. გამგეობის განაჩენს ბაქრაძე და მისი «კომპანია» არ დაემორჩილნენ და მოითხოვეს, რომ კენჭი ეყარათ ორივესთვის. კრებამ დიდი ხმის უმეტესობით ამოირჩია მარაქველიძე. გამგეობის თავმჯდომარედ ამოირჩიეს ერთხმად დეკანოზი დავით დამბაშიძე, ხაზინადრად—ბესარიონ გელენჯერიძე, მთავრობის წინაშე პასუხის მგებლად—ივანე არდიშვილი, ყოფილი თავმჯდომარე გამგეობისა. კრება დაიშალა ღამის ორ საათზე

ამას წინად კნ. ალექსანდრა აბაშიძისამ გამართა საცეკვაო საღამო სამკითხველოს სასარგებლოდ. წმინდა შემოსავალი 130 მანეთი დარჩა, რისთვისაც ეს პატივცემული მანდილოსანი დიდის მადლობის ღირსია.

მანოელიძე.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 6 ივლისს.

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში	45,97½
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,55
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 მყიდვ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	408 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	330 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	229 „
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87½ „
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	92¾ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ	93½ „
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) საფოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); საფოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) საფოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ვყიდულობ ძვირ-ფასად კარგს, ძველს ფულებს ყოველს სახელმწიფოსას, ძვირფას ქვებს ამოჭრილს კაცის სახით, თეთრს ოქროს ყოველივე წლებისას, ძველს მხატვრობას ხეზე და ძვალზე, სხვა-და-სხვა ძველ ნივთებს, საქართველოს ფულს, რომელიც მოჭრილია შემდეგ წლებში (ჩყდ), ორ-შაურიანი (ჩყი), (ჩყიგ), (ჩყკ), აბაზიანი (ჩყი), (ჩყკვ), ნახევარ კაპეიკიანი (ჩყდ), (ჩყგ), ჩყკ) აღრესი: სახაზინო თეატრის გვერდზე, „ლივადიის" ნომრებში, № 15.
გევორქ ლანბარიანცი.

ახალი წიგნი
სამეგრელოს აღწერა
არქანჯელო ლამბერტისა
იტალიურით ნათარგმანი
ალექსანდრე ჭყონიასი
(სამეგრელოს რუქით)
ფასი 1 მანეთი
დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში, „წერა კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Іюля 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.